



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 65

07/10/2020

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“ პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

საარჩევნო სუბიექტის „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში რიგით №8 დავითაძე გიორგი, №10 დევაძე ჟუჟუნა და №23 ჯაბნიძე შუქურა არ აკმაყოფილებენ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან მათ არ შესრულებიათ და 2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის არ უსრულდებათ 25 წელი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, ვადგენ:

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე საარჩევნო სუბიექტის „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“ პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის შემდეგ კანდიდატებს:

- ა) დავითაძე გიორგი (პარტიულ სიაში №8);
- ბ) დევაძე ჟუჟუნა (პარტიულ სიაში №10);
- გ) ჯაბნიძე შუქურა (პარტიულ სიაში №23).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე